ახალი კანონპროექტი -

„სტრატეგიული პორტების ანგარიშგების აქტი“ აშშ-ში

მიმდინარე წლის 27 თებერვალს, სენატორებმა მარკ კელიმ, ტედ ბადიმ და რიკ სკოტმა წარმოადგინეს ბიპარტიზანული ინიციატივა, რომელიც მიემართება ამერიკისთვის ახალ გამოწვევას - ჩინეთის მზარდ საზღვაო ძალაუფლებას.

„სტრატეგიული პორტების ანგარიშგების აქტი“ (Strategic Ports Reporting Act) არის ერთგვარი პასუხი გლობალური მასშტაბით სტრატეგიულ პორტებზე ჩინეთის მზარდი გავლენის წინააღმდეგ.

კანონპროექტის მიხედვით, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა და თავდაცვის მდივანმა უნდა აკონტროლონ ჩინეთის მიერ სტრატეგიული უცხოური პორტების შესყიდვის ან აშენების მცდელობები. კერძოდ, აქტის ამოქმედებიდან 1 წლის მანძილზე უნდა შეიქმნას ამერიკისთვის მნიშვნელოვანი პორტების გლობალური რუკა და დაიდენტიფიცირდეს ჩინეთის მთავრობის ან მასთან დაკავშირებული აქტორების მიერ სტრატეგიული პორტების აშენების, შესყიდვის, ან მათზე პირდაპირი/არაპირდაპირი სახით კონტროლის მოპოვების მცდელობები.

სავარაუდოა, რომ „სტრატეგიული პორტების ანგარიშგების აქტის“ რუკაში, შესაძლოა, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტიც მოხვდეს. ამერიკაში ჩინეთის გავლენის შესამცირებლად წამოწყებული ნახსენები ინიციატივების პარალელურად, „ქართული ოცნება“ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პოტენციურ კერძო ინვესტორად ასახელებს ჩინურ-სინგაპურულ კონსორციუმს. ბოლო პერიოდში, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ტრამპის მიერ მიღებულ რიგ გადაწყვეტილებებს საკუთარი ანტი-დემოკრატიული პოლიტიკის გასამართლებლად იშველიებენ. თუმცა, აშშ-ს პრეზიდენტის მიმდინარე პოლიტიკა არ წარმოადგენს საფუძვლიან არგუმენტს იმის დასასაბუთებლად, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის ჩინელი ინვესტორებისთვის გადაცემა ამერიკის ინტერესებთან წინააღმდეგობაში არ მოდის. პირიქით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ჯერ კიდევ ტრამპის პირველი ადმინისტრაციის დროს მოექცა ამერიკის ყურადღების ცენტრში. კერძოდ, 2019 წელს აშშ-ს ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ ანაკლიის პორტი საქართველოში შეასუსტებს რუსეთისა და ჩინეთის (საქართველოს „მოჩვენებითი“ მეგობრის) ეკონომიკურ გავლენას.

„სტრატეგიული პორტების ანგარიშგების აქტის“ მიხედვით, სახელმწიფო მდივანს მოეთხოვება გამოიკვლიოს, თუ როგორ დააზიანებს ამერიკის ან მისი პარტნიორების ეროვნულ უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ ინტერესებს ჩინეთის მიერ სტრატეგიული პორტების კონტროლი. შესაბამისად, აქტის მიზანია არა

მხოლოდ დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარე პორტების, არამედ აშშ-ს მოკავშირეებისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული საზღვაო მარშრუტების ჩინეთის გავლენისგან დაცვა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ აქტი მოიცავს აშშ-ს პარტნიორებისთვის, მათ შორის, ევროკავშირისთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე შავი ზღვის რეგიონსაც. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს, ამერიკის წარმომადგენელთა პალატაში დაინიცირდა „შავი ზღვის უსაფრთხოების აქტი“, რომლის მიხედვითაც რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად, ჩინეთის ეკონომიკური ქმედებების წინააღმდეგ შესაბამისი ზომების მიღებაა საჭირო. საყურადღებოა, რომ სენატში ამ აქტის განხილვისას, ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ, ჯეიმს ო'ბრაიენმა აღნიშნა, რომ ანაკლიის პორტის მსგავსი კრიტიკული ინფრასტრუქტურა არ უნდა ჩავარდეს მტაცებლური ეკონომიკური პრაქტიკით ცნობილი სახელმწიფოების კონტროლის ქვეშ.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული კანონპროექტი არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ჩინეთის მზარდი საზღვაო გავლენა კონგრესის ყურადღების ცენტრში მოექცა. კერძოდ, 2024 წლის 30 ივლისს, სენატორებმა იმავე შინაარსის მქონე კანონპროექტი - „სტრატეგიული პორტების ანგარიშგების აქტი“ წარმოადგინეს. საინტერესოა, რომ აქტის ინიციატორებს შორის იყო მარკო რუბიო, ამერიკის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი. კანონპროექტის დაინიცირების დროს რუბიომ განაცხადა, რომ ამერიკა ვერ დაუშვებს კომუნისტური ჩინეთის მიერ გეოგრაფიულად და ეკონომიკურად სტრატეგიულ პორტებში ინვესტიციების განხორციელებას.

მანამდე, 2024 წლის 30 აპრილს, გამოქვეყნდა რამდენიმე კონგრესმენისა და სენატორის მიერ შედგენილი დოკუმენტი - ეროვნული საზღვაო სტრატეგიის სახელმძღვანელო. აღნიშნული დოკუმენტის ავტორებს შორის იყვნენ მარკო რუბიო და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ტრამპის ახლანდელი მრჩეველი, მაიკ უოლცი.

აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ ტრამპის ახლო გარემოცვაში მყოფი პირები ჩინეთის მზარდ საზღვაო გავლენას ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ინტერესებისთვის გამოწვევად მიიჩნევენ.

აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმაც, ჯერ კიდევ ინაუგურაციის დროს, გამოავლინა მკაცრი პოზიცია ჩინეთის მიერ ამერიკისთვის სტრატეგიული ობიექტების, მათ შორის, პანამის არხის გაკონტროლებასთან დაკავშირებით. სწორედ ტრამპის ხისტი პოლიტიკის შედეგია, რომ პანამის არხის ორივე მხარეს მდებარე პორტების მმართველმა ჩინურმა კომპანიამ 4 მარტს გამოაცხადა, რომ თავის წილებს ამერიკულ კონსორციუმს მიჰყიდის.

მაშინ, როდესაც აშშ ახორციელებს სტრატეგიული პორტების მკაცრ მონიტორინგს ჩინეთის მზარდი გავლენის საწინააღმდეგოდ, ანაკლიის პორტის მშენებლობის უფლების ჩინეთის სახელმწიფო და რეპუტაციაშელახული კომპანიისთვის (CCCC) გადაცემა უმძიმესი გეოსტრატეგიული კრიზისის მომასწავებელია.